

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე

#### „დაგროვებითი პენსიის შესახებ“

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სოციალური საპენსიო სისტემის მდგრადობას. მონაწილეთა რაოდენობის და ხარჯების მიხედვით სოციალური პენსია ყველაზე დიდ სოციალურ პროგრამას წარმოადგენს. 2005 წლიდან სოციალური პენსიის ოდენობა 10-ჯერ გაიზარდა და 2016 წელს მთლიანმა ხარჯმა (მარჩენალდაკარგულთა და შშმ პირების დახმარების ჩათვლით) შეადგინა მშპ-ს 4.6%. პროგნოზის მიხედვით, 2060 წლისათვის, თუკი არსებული 18%-იანი ჩანაცვლების კოეფიციენტი შენარჩუნებული იქნება, ასაკით პენსიონერთა ხარჯები მიაღწევს საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 30%-ს.

საპენსიო რეფორმის ერთ-ერთი მიზანია არსებული სოციალური სისტემის ფისკალური მდგრადობის შენარჩუნება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანი გამოწვევაა. განსაკუთრებით არსებული სისტემის უცვლელობის პირობებში. სოციალური უზრუნველყოფის არსებული დონის შენარჩუნება გულისხმობს სოციალური პენსიის ზრდას საშუალო ხელფასის ზრდის პარალელურად (ნომინალურ ხელფასზე ინდექსაცია). თუ ჩავთვლით, რომ არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტი დამაკმაყოფილებელია, ამ შემთხვევაშიც კი ჩანაცვლების არსებული დონის შენარჩუნება მის ფისკალურ მდგრადობას ეჭვქვეშ აყენებს. 2016 წლის ბოლოსათვის პენსიის და სოციალური დახმარების მიმღებთა საერთო რაოდენობამ 887,000 მიაღწია (მოიცავს ასაკით პენსიონერებს, შშმ პირებს, მარჩენალდაკარგულებს და სპეციალური კატეგორიის პენსიონერებს), რაც ახალი აღრიცხვის თანახმად, მოსახლეობის 22%-ს შეადგენს. აღნიშნული კატეგორია 2030 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზრდება და 1.1 მილიონს მიაღწევს.

სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ფონზე, გრძელვადიან პერსპექტივაში, სულ უფრო გართულდება პენსიის არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტის შენარჩუნება. ამიტომ, საჭიროა დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, რათა სამომავლო საპენსიო უზრუნველყოფის ადეკვატურობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს.

მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნებში დასმული პრობლემის საპასუხოდ საპენსიო რეფორმები ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს:

1. იზრდება პენსიაზე გასვლის ასაკი ან/და ხდება ქალისა და მამაკაცის საპენსიო ასაკის გათანაბრება. ეს აკომპენსირებს სამუშაო ძალის შემცირებით გამოწვეულ ნეგატიურ გავლენას.
2. ქვეყნები ცდილობენ უფრო მეტად საინტერესო გახადონ დაგროვებითი საპენსიო სისტემები და ამავდროულად, ხელი შეუწყონ ახალგაზრდა თაობის სტიმულირებას, ახალი მიდგომები შეიმუშაონ მეტი დაზოგვის კუთხით.

ჩვენს შემთხვევაში საწყის ეტაპზე დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა წარმოადგენს დემოგრაფიული მდგომარეობის შედეგად შექმნილი გამოწვევების გამკლავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

ასეთი სისტემის თანახმად, საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხის ოდენობა დამოკიდებულია საპენსიო შენატანებზე, საპენსიო ფონდის საინვესტიციო შემოსავალსა და დასაქმების ხანგრძლივობაზე. მოქალაქის მიერ სამომავლოდ მისაღები სარგებელი პირდაპირ დაკავშირებულია პირის მიერ წლების განმავლობაში გამომუშავებულ ხელფასსა და შენატანებზე. ამრიგად, დაგროვებითი საპენსიო სისტემა ძირითადი პრობლემის გადაჭრასთან ერთად ბევრად უფრო სამართლიან მიდგომას სთავაზობს მოქალაქეებს.

იმ შემთხვევაში, თუკი არ მოხდა დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, სულ უფრო და უფრო მეტი საგადასახადო შემოსავლები იქნება საჭირო საპენსიო ვალდებულების დასაფინანსებლად, რაც შეამცირებს სახელმწიფოსათვის სხვა მნიშვნელოვანი საჭიროებების დაფინანსების შესაძლებლობებს.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

დაგროვებითი საპენსიო სისტემა შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეს შექმნას დანაზოგი, რომელიც პირდაპირპროპორციული იქნება წლების განმავლობაში დასაქმებულის მიერ გამომუშავებული ხელფასის და საშუალებას მისცემს მიიღოს უფრო მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი. ფისკალური სტაბილურობის გათვალისწინებით, დაგროვებითი პენსია ყველაზე ოპტიმალურ მოდელს წარმოადგენს საპენსიო უზრუნველყოფის ადეკვატურობის გაუმჯობესების კუთხით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ სოციალური პენსიის მეშვეობით ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდა, ან თუნდაც შენარჩუნება, არარეალისტური იქნება.

ამასთან საპენსიო შემოსავლების დივერსიფიკაცია ამცირებს საპენსიო რისკებს და აუმჯობესებს ჩანაცვლების კოეფიციენტს. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაგროვებითი ხასიათის დანაზოგების სისტემას მნიშვნელოვანი როლი აკისრია მთლიან საპენსიო უზრუნველყოფაში. ასევე, დანაზოგების სისტემა პირს საშუალებას აძლევს უკეთ დაგეგმოს მომავალი საპენსიო შემოსავალი და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სოციალური უზრუნველყოფის პაკეტზე.

გრძელვადიან პერიოდში, დაგროვებითი პენსია სოციალურ პენსიასთან ერთად მნიშვნელოვნად გაზრდის პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტს.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონი არეგულირებს დაგროვებითი საპენსიო სქემის ორგანიზებისა და განხორციელების საკითხებს და განსაზღვრავს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებისათვის სქემაში მონაწილეობის წესებს და პირობებს. ამასთანავე, კანონპროექტი ვრცელდება აქტივების მმართველი კომპანიების, სპეციალიზებული დეპოზიტარების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და სხვა პირების საქმიანობაზე იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ასეთი საქმიანობა უკავშირდება დაგროვებით პენსიებს.

კანონი მიზნად ისახავს მეორე სვეტის საპენსიო დაზღვევის ჩამოყალიბებას, რაც არ ზღუდავს სახელმწიფო პენსიის შესახებ კანონის მოქმედებას. ასევე არ ზრუდავს ის იმ სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოქმედებას, რომლებიც უკავშირდება კომპენსაციას ან სხვა სახის სოციალურ დახმარებას. შესაბამისად, დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა წარმოადგენს ავტონომიურ პროცესს და ის არ უზღუდავს საპენსიო სქემის მონაწილის უფლებას მიიღოს სახელმწიფო პენსია ან სხვა სახის პენსია თუ დახმარება, რომელიც მას კანონით ეკუთვნის.

კანონპროექტი განსაზღვრავს დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულო და ნებაყოფლობითი მონაწილეობის პრინციპებს. სისტემაში სავალდებულო წესით ჩაერთვება ყველა დასაქმებული, ხოლო ნებაყოფლობით ნებისმიერი თვითდასაქმებული.

კანონპროექტი განსაზღვრავს დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს ვალდებულებებს საპენსიო შენატანების განხორციელებასთან დაკავშირებით. კერძოდ დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხოს დაუბეგრავი ხელფასის მინიმუმ 2% ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლის იმ მოცულობაზე, რომელიც წლიურად არ აღემატება 60 000 ლარს. ამასთანავე, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის სახელით დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხოს დაუბეგრავი ხელფასის მინიმუმ 2% ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის იმ მოცულობაზე, რომელიც წლიურად არ აღემატება 60 000 ლარს.

გარდა ამისა, დასაქმებულის სასარგებლოდ სახელმწიფო ვალდებულია დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხოს დაუბეგრავი ხელფასის 2%, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის იმ მოცულობაზე, რომელიც არ აღემატება 24 000 ლარს წელიწადში, ხოლო დაუბეგრავი ხელფასის 1% ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის 24 000-დან 60 000 ლარამდე მოცულობაზე.

თვითდასაქმებულისათვის სქემაში ჩართვის შემთხვევაში მინიმალურ შენატანს წარმოადგენს მისი დასაბეგრი შემოსავლის 4%. თვითდასაქმებულის სასარგებლოდ სახელმწიფო გადარიცხავს თვითდასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე თვითდასაქმებულის დასაბეგრი შემოსავლის ორ პროცენტს (2%) თანხის იმ მოცულობაზე, რომელიც არ აღემატება თვითდასაქმებულის მიერ წლიურად დასაბეგრი შემოსავლის სახით მიღებულ 24 000 ლარს, ხოლო 1%-ს თვითდასაქმებულის მიერ წლიურად დასაბეგრი შემოსავლის სახით მიღებულ თანხაზე 24 000-დან 60 000 ლარამდე.

რაც შეეხება დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებას, სქემის განხორციელებაზე და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია საპენსიო სააგენტო, რომლის უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით საპენსიო სააგენტო გამოიყენებს საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემას და ასევე შემოსავლების სამსახურისა და სხვა დაკავშირებული მხარეების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

აღსანიშნავია, რომ სისტემის ადმინისტრირების ერთ-ერთი საშუალებაა შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა. საპენსიო სააგენტო საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის გამოყენებით მოახდენს მონაწილეთა საპენსიო სქემაში გაწევრიანების ტექნიკურ მხარდაჭერას, განახორციელებს საპენსიო შენატანების ადმინისტრირებას ამ კანონის შესაბამისად და თითოეული მონაწილისთვის შექმნის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშს. საპენსიო სააგენტო ყოველდღიურად განახორციელებს სახელმწიფო ხაზინისათვის ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს ამ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების საფუძველს.

რაც შეეხება სააგენტოს ფორმირებას და სტრუქტურას, საპენსიო სააგენტო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შეიქმნება დაგროვებითი საპენსიო სქემის ადმინისტრირებისა და მართვის მიზნით. საპენსიო სააგენტოს უმაღლესი მართვის ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია კანონპროექტით და მასში წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის 3 წევრი და საინვესტიციო საბჭოს თავჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭო კონკურსის წესით ნიშნავს სააგენტოს დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია სააგენტოს ადმინისტრაციული

საქმიანობის განხორციელებაზე, ბიუჯეტის დაგამგმვასა და მესამე მხარეებთან ურთიერთობაზე, რასაც იგი განახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საპენსიო აქტივების კეთილსაიმედო ინვესტირების მიზნით სააგენტოში იქმნება საინვესტიციო საბჭო, რომელიც თავად განსაზღვრავს საინვესტიციო პოლიტიკას. იგი შედგება 5 წევრისგან, რომელთა კვალიფიკაციის მინიმალური მოთხოვნები დადგენილია კანონპროექტით. საინვესტიციო საბჭოს წევრობის კანდიდატები შეირჩევა შესარჩევი კომისიის მიერ კონკურსის წესით, ხოლო მის წევრებს ირჩევს საქართველოს პარლამენტი. საინვესტიციო საბჭო პასუხისმგებელია როგორც საინვესტიციო სამსახურისა და უფროსი საინვესტიციო ოფიცრის საქმიანობის, ასევე აქტივების მმართველი კომპანიების საქმიანობის მონიტორინგზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ კანონის მოთხოვნათა დაცვა საპენსიო აქტივების მართვასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო საბჭოს ყველა წევრი და დირექტორი წარმოადგენს ნდობითი ვალდებულების მქონე პირს ამ კანონის მიზნებისთვის.

ნდობითი ვალდებულება გააჩნია ყველა იმ პირს, რომელიც ახორციელებს ნებისმიერ უფლებამოსილებას ან კონტროლს საპენსიო აქტივების მართვის პროცესში, უზრუნველყოფს საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო რჩევით, ახორციელებს გარიგებების აღრიცხვას და მათთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავებას, მონაწილეთა შესახებ ჩანაწერთა წარმოებას ან/და შენახვას. აღსანიშნავია, რომ კანონის მიზნებისთვის ნდობითი ვალდებულება არ გააჩნია სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, რაც ადასტურებს და ხაზს უსვამს როგორც საინვესტიციო საბჭოს და მისი წევრების დამოუკიდებლობას, ასევე საპენსიო აქტივების ინვესტირების პროცესის დამოუკიდებლობას სამეთვალყურეო საბჭოს და მისი წევრების ჩარევისგან.

საინვესტიციო საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპებთან. საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს იმ აქტივების სახეებს, რომლებშიც შეიძლება საპენსიო აქტივების ინვესტირება კანონში გათვალისწინებული ინვესტირებასთან დაკავშირებული მოტხოვნების გათვალისწინებით, თითოეული ტიპის საინვესტიციო ფონდის ჭრილში.

საპენსიო აქტივების ინვესტირების პროცესში ჩართული იქნება სპეციალიზებული დეპოზიტარი, რომელიც უზრუნველყოფს საპენსიო აქტივების შენახვას. სპეციალიზებული დეპოზიტარი იღებს და ინახავს მატერიალურ ფასიან ქაღალდებს, დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებს, ანგარიშსწორების დოკუმენტების ასლებს გადარიცხვების და ფულადი სახსრების გაცემის თაობაზე და ასრულებს კანონით განსაზღვრულ სხვა უფლება მოვალეობებს.

კანონპროექტი განსაზღვრავს იმ ძირითად აქტივებს, რომლებშიც შეიძლება განხორციელდეს ინვესტირება. კერძოდ, საპენსიო სააგენტოს მიერ საპენსიო აქტივები შეიძლება ინვესტირებულ იქნეს შემდეგი კლასის აქტივებში: ფულადი სახსრები, მათ შორის საბანკო ანგარიშები და საბანკო დეპოზიტები; სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი; ადგილობრივი მთავრობის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები; საწარმოთა ფასიანი ქაღალდები რომლებიც განთავსებულია საფონდო ბირჟაზე საჯარო შეთავაზების გზით; საინვესტიციო ფონდები; ღია საფონდო ინსტრუმენტები ჩამოყალიბებული და რეგულირებული საქართველოში და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ფინანსური ინსტრუმენტები.

საინვესტიციო საბჭო უფლებამოსილია საპენსიო აქტივები სამართავად გადასცეს ერთ ან მეტ აქტივების მმართველ კომპანიას, რომელსაც შეარჩევს კონკურსის წესით.

რაც შეეხება ანგარიშვალდებულებას, საპენსიო სააგენტო მიაწოდებს ინფორმაციას თითოეულ მონაწილეს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე თითოეული საპენსიო შენატანის განხორციელების შესახებ ელექტრონული ფორმით. საპენსიო სააგენტო არანაკლებ წელიწადში ერთხელ მიაწვდის თითოეულ მონაწილეს ინფორმაციას საკუთარ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე მთლიანი აქტივების შესახებ, შენატანების თარიღების და საინვესტიციო ამონაგების მითითებით.

საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მონაწილეს შეუძლია მიიღოს საკუთარ საპენსიო ანგარიშზე არსებული საპენსიო აქტივი მთლიანი თანხის ერთჯერადი ან პროგრამული გადახდის ფორმით ამ კანონის შესაბამისად. გარდა ამისა მონაწილეს შეუძლია მოითხოვოს მის საპენსიო ანგარიშზე რიცხული აქტივების გადატანა მის მიერ არჩეული სადაზღვევო კომპანიის მიერ დაფუძნებულ დამატებით კერძო საპენსიო სქემაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში თუ მონაწილემ საპენსიო ასაკს მიაღწია საპენსიო შენატანების დაწყებიდან არაუმეტეს ხუთ (5) წელში, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს საპენსიო აქტივების მთლიანი მოცულობა ერთჯერადი გადახდით.

აღსანიშნავია, რომ საპენსიო აქტივების კანონთან შესაბამისად მართვისა და მართვის პროცესში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების მიზნით საპენსიო სააგენტო ექვემდებარება ზედამხედველობას. უფრო კონკრეტულად, საპენსიო აქტივების ინვესტირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ზედამხედველობს საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე ახდენს საპენსიო სააგენტოს სპეციალური ადმინისტრირების როებითი რეჟიმის უზრუნველყოფას, იმ შემთხვევაში თუკი კანონით განსაზღვრული მიზეზებით დამდგარი საპენსიო აქტივების დანაკარგი აღემატება აქტივების მთლიანი მოცულობის 1%. სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის ძირითადი მიზანია საპენსიო აქტივების ინვესტირების პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. მონაწილის კონტრიბუციის გაანგარიშება ხდება დარიცხული ხელფასიდან და შემდეგ მოხდება საშემოსავლოს 20%-ის გადახდა, აქედან გამომდინარე ბიუჯეტს საშემოსავლო დასაბეგრი ბაზის შემცირების გამო ბიუჯეტში დაახლოებით 17 მლნ ლარამდე ნაკლები თანხა მობილიზდება სრულ წელზე გათვლით. ასევე, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ დამსაქმებელს თავის კონტრიბუციის 2% შეუძლია გამოქვითოს შემოსავლიდან და შეამციროს მოგების დასაბეგრი ბაზა, დაახლოებით ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს შეამცირებს 23 მლნ ლარამდე. ჯამურად სრულ წელზე დაახლოებით 40 მლნ ლარამდე ნაკლებით მობილიზდება ბიუჯეტში.

### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. სისტემის ამოქმედების შემდგომ სრულ წელზე საბიუჯეტო ხარჯი შეადგენს 150 მლნ ლარამდე. საბიუჯეტო ხარჯი 2018 წელს წარმოადგენს დაახლოებით 90 მლნ ლარს, რადგან სისტემა

ჩართვება 2018 წლის მესამე კვარტილიდან. ასევე, კანონის პროექტით განსაზღვრულია საპენსიო სააგენტოს დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სააგენტოს ამოქმედებიდან პირველი სამი წელი. პირველი წლის სააგენტოს ხარჯი დაახლოებით შეადგენს 5 მლნ ლარს, საიდანაც ძირითადად სახელფასო ხარჯს წარმოადგენს, რადგან საინვეტიციო საბჭოს წევრები იქნებიან საერთაშორისო დონის მაღალკვალიფიციური კადრები.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს დამსაქმებლებისთვის ხარჯების გაზრდას.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი განსაზღვრავს დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს ვალდებულებებს საპენსიო შენატანების განხორციელებასთან დაკავშირებით. კერძოდ დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხოს დაუბეგრავი ხელფასის მინიმუმ 2% ხელფასის იმ მოცულობაზე, რომელიც წლიურად არ აღემატება 60 000 ლარს. ამასთანავე, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის სახელით დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხოს დაუბეგრავი ხელფასის მინიმუმ 2% ხელფასის იმ მოცულობაზე, რომელიც წლიურად არ აღემატება 60 000 ლარს.

გარდა ამისა, დასაქმებულის სასარგებლოდ სახელმწიფო ვალდებულია დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხოს დაუბეგრავი ხელფასის 2%, ხელფასის იმ მოცულობაზე, რომელიც არ აღემატება 24 000 ლარს წელიწადში, ხოლო დაუბეგრავი ხელფასის 1% ხელფასის 24 000-დან 60 000 ლარამდე მოცულობაზე.

თვითდასაქმებულისათვის სქემაში ჩართვის შემთხვევაში მინიმალურ კონტრიბუციას წარმოადგენს მისი დასაბეგრი შემოსავლის 4%. თვითდასაქმებულის სასარგებლოდ სახელმწიფო გადარიცხავს თვითდასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე თვითდასაქმებულის დასაბეგრი შემოსავლის ორ პროცენტს (2%) თანხის იმ მოცულობაზე, რომელიც არ აღემატება თვითდასაქმებულის მიერ წლიურად დასაბეგრი შემოსავლის სახით მიღებულ 24 000 ლარს, ხოლო 1%-ს თვითდასაქმებულის მიერ წლიურად დასაბეგრი შემოსავლის სახით მიღებულ თანხაზე 24 000-დან 60 000 ლარამდე.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, USAID.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციები და ექსპერტები დადებითად აფასებენ კანონპროექტით გათვალისწინებულ ძირითად დებულებებს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.